



საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000076657556919

№ 39-ი

05 / ივლისი / 2019 წ.

განკარგულება

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის“ 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და 36-ე მუხლის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სოფ. ხეჩილის მოსახლეობას შორის დადებული მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების (სოფ. ხეჩილში მდებარე 15,18 ჰა საძოვარი, ს/კ 54.11.09.108) კოლექტიური იჯარის ხელშეკრულება გააგრძელოს 5 / ხუთი/ წლის ვადით, ხოლო წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 740.00 ლარით.

მუხლი 2

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სოფ. ფონის მოსახლეობას შორის დადებული მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების (სოფ. ფონაში მდებარე 4,33 ჰა საძოვარი, ს/კ 54.11.06.277) კოლექტიური იჯარის ხელშეკრულება გააგრძელოს 5 / ხუთი/ წლის ვადით, ხოლო წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 210.00 ლარით.

მუხლი 3

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სოფ. ხეჩილის მოსახლეობას შორის დადებული მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების (სოფ. ხეჩილში მდებარე 33, 13 ჰა საძოვარი, ს/კ 54.11.07.128 და 3,85 ჰა საძოვარი, ს/კ 54.11.09.119) კოლექტიური იჯარის ხელშეკრულება გააგრძელოს 5 /ხუთი/ წლის ვადით, ხოლო წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1790.00 ლარით.

მუხლი 4

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - სოფ. პატარაგორში მდებარე, 153385 კვ.მ და 31090 კვ.მ საძოვრების (ს/კ 54.09.52.004; ს/კ 54.09.60.001) სოფელ პატარაგორის მოსახლეობისათვის, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, 10 (ათი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე, წლიურ საიჯარო ქირად, 15.33.ჰა მიწის ნაკვეთისთვის განისაზღვროს 750.00 ლარი, ხოლო 3.1 ჰა მიწის ნაკვეთისათვის - 150.00 ლარი.

მუხლი 5

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 6

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი:

ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

